ტექნიკური დავალება ჯიხურების დამზადებაზე

- ჯიხური უნდა დამზადდეს კარგად შეკრული რკინის კარკასით, გარე პერიმეტრი უნდა იყოს მოპირკეთებული კომპაქტ-ლამინატით, დათბუნება კედლების-მინაბამბით, შიდა კედლები უნდა იყოს ლამინატი, შესაბამისად თაროებიც და ღია კარადებიც იგივე მასალით. ვიტრაჟი ალუმინის (შავი ალუმინი) სახურავი მეტალოკრამიტი (ან სხვა შესაბამისი ხარისხის მასალა), დათბუნებული მინაბამბით. იატაკი ლამინატი, ელექტრო შემავალი კაბელი 4 კვეთიანი სპილენძი, ხოლო ქსელზე 2,5 იანი სპილენძი, 6 ელექტრო ჩამრთველის წერტილის მოწყობით, ელექტროობა უნდა იყოს ქსელში მაღალი დაცვით დამონტაჟებული. შიდა განათება დიოდური. გარეთ უნდაიყოს კონდიციონერის კომპრესორის სამაგრები.

- ჯიხური გათვლილია მობილურობაზე და მრავალჯერად გადატანაზე, შესაბამისად მისი ხარისხი უნდა იყოს მაღალი.

- ჯიხურის დამზადების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი კვირა
- დასამზადებელი ჯიხურების რაოდენობა პირველ ეტაპზე ხუთი ცალი.